ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9459/01
26/09/2019

9459-01-2-201909260955

ი/მ დავით შუბითიძეს
მის: ქ. გორი, სამეფო ქ. N 9

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 29 აგვისტოს №12389 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერბუკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ენერგიის მიღების მიზნით (სათბურის გასათბობად) ღუმელში მეორადი ზეთების გამოყენებას (ნარჩენების აღდგენა).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- გამოყენებული დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები (სიმძლავრე, ხმაურის დონე), ინფორმაცია დანადგარის სამუშაო გრაფიკის შესახებ (საათობრივად მოხმარებული ზეთების რაოდენობის მითითებით);
- გაფრქვევის პარამეტრები (აირჰაეროვანი ნარევის სიჩქარე, მოცულობითი სიჩქარე, ტემპერატურა, ასევე გაფრქვევის წყაროს სიმაღლე და დიამეტრი);
- განცხადებით წარმოდგენილ „ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების და დაყენების სახელმძღვანელოში“ მითითებულია ჰაერის ფილტრები, თუმცა აღნიშნულ ფილტრებთან დაკავშირებით სკრინინგის განცხადებაში არანაირი ინფორმაცია არ არის მოცემული;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნის წყაროს, სახეობების, რაოდენობების, სახიფათოობის მახასიათებლების შესახებ, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- დეტალური ინფორმაცია შეგროვებული ზეთების შენახვისა და დასაწყობების შესახებ, ასევე მათი ტრანსპორტირების საკითხები;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული რისკების შესახებ.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე